საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1400
02/03/2023

1400-21-2-202303021813

სს „აჭარის წყლის ალიანსს“
მის: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. N1
ელ.ფოსტა: lnfo@awa.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი 2023 წლის 9 თებერვლის N34 განცხადება, რომელიც ეხება ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ოჩხამურში გამწმენდი ნაგებობის (N2) და წყალარინების სისტემის მშენებლობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული, ასევე სააგენტოს 2022 წლის 25 ნოემბრის N21/7194 წერილში მითითებული საკითხები, კერძოდ:

- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, გამწმენდი ნაგებობიდან გაწმენდილი წყლის გაყვანა გათვალისწინებულია მიწისქვეშა მილსადენის საშუალებით, ხოლო ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტში მოცემული ინფორმაციის მიხედვით, გაწმენდილი წყლის გამყვანი მილსადენის განთავსება მოხდება რკინა-ბეტონის ან ლითონის დგარებზე, ყოველ 6 მეტრში. აღნიშნული საჭიროებს კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის გათვალისწინებული სააგენტოს N21/7194 წერილით მოთხოვნილი ინფორმაცია გაწმენდის პროცესის შესახებ (მეორე ფილტრის ეტაპის შესახებ დეტალური მონაცემები და რა შემთხვევაში მოხდება მისი გამოყენება). აღნიშნული ინფორმაცია გათვალისწინებული/ასახული უნდა იქნას წარმოდგენილ დოკუმენტაციაში;
- კორექტირებას საჭიროებს არატექნიკური რეზიუმეს ცხრილი 1.1. აღნიშნულ ცხრილში საქმიანობის განხორციელების ადგილად მითითებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზემო ვაშლოვანი;
- გზშ-ის ანგარიშის 1.2 ქვეთავში მოცემული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ პროექტზე სკრინინგის გადაწყვეტილება გაიცა 2022 წლის 17 იანვარს

(გადაწყვეტილება (N2-20)). აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს კორექტირებას, რადგან სკრინინგის გადაწყვეტილება N2-20 არ წარმოადგენს დაბა ოჩხამურის N2 გამწმენდ ნაგებობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას;

- გზშ-ის ანგარიშში (მე-10 თავი, ასევე 10.1 ცხრილის სათაური) მოცემული ჩანაწერი: -„საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს N40 (16.05.2022) სკოპინგის დასკვნა“ საჭიროებს კორექტირებას, ვინაიდან N40 სკოპინგის დასკვნა გაცემულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ;
- გზშ-ის ანგარიშის მე-10, ასევე არატექნიკური რეზიუმეს 5 თავში, ჩანაწერი - „პროექტთან დაკავშირებით, სამინისტროში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ ყოფილა წარდგენილი” საჭიროებს კორექტირებას. რადგან, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით, სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები წარმოდგენილი იქნა დაბა ოჩხამურის, დავით აღმაშენებლის N20 კორპუსის მცხოვრებლების მიერ, რომელიც ეხებოდა საპროექტო გამწმენდი ნაგებობიდან სუნის შესაძლო გავრცელების, ასევე მწერების მომრავლების რისკებს. წარმოდგენილი განცხადებიდან დგინდება, რომ - გამწმენდი ნაგებობის მოსახლეობის სიახლოვეს განთავსებით მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების გათვალისწინებით დავით აღმაშენებლის N20 კორპუსის მაცხოვრებლებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ საპროექტო გამწმენდი ნაგებობის სხვა ალტერნატიულ ლოკაციაზე განთავსება. აღნიშნული ჩანაწერი ასახულია ასევე სკოპინგის N40 დასკვნაში. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო განხილვაზე და ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან საპროექტო ტერიტორიასთან დაკავშირებით დაფიქსირებული მოსაზრებების/შენიშვნების ამსახველი და მოსახლეობასთან კომუნიკაციისა და შეთანხმების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშში, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში და დანართის სახით წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშის ცხრილში 3.2.5.1 მოცემული ინფორმაციის თანახმად, CW უჯრედების ქვაბულის ფსკერის მოპირკეთება მოხდება 20 სმ **თიხით ან გეომემბრანით.** 3.2.11 ქვეთავის თანახმად განხორციელდება გეომემბრანის (ჰიდროსაიზოლაციო ფენა) მოწყობა, ხოლო 7.14 ის თანახმად, თიხა, წყალგაუმტარი ფენის მოწყობისთვის, მოპოვებული იქნება ადგილობრივი კარიერებიდან. გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს ზემოაღნიშნული საკითხი;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ჩამდინარე წყლების გაწმენდის ტექნოლოგია წარიმართება თვითდენით, ტუმბოების გამოყენების გარეშე. თუმცა 3.2.5 და 3.2.9 ქვეთავი შეიცავს საწინააღმდეგო ინფორმაციას. შესაბამისად, აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშის სხვადასხვა თავში მოცემული ინფორმაციის თანახმად, მანძილი უახლოეს მოსახლემდე შეადგენს 50 მეტრს, ხოლო 4.2 ქვეთავში მოცემული ინფორმაციის მიხედვით უახლოეს მოსახლემდე დაშორების მანძილია 70 - 90 მეტრი. აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;

- გზშ-ის ანგარიშის მე-11 თავში ჩანაწერი „ახალი გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისთვის შერჩეულია ძველი გამწმენდი ნაგებობის ტერიტორია" საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად გამწმენდი ნაგებობის მოწყობისათვის გათვალისწინებული ტერიტორია წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, რომელიც აქტიურად მუშავდება სასოფლო-სამეურნეო მიზნით;
- გზშ-ის ანგარიშის 1.1 ქვეთავში, ჩანაწერი „საქმიანობის განმახორციელებლის და სკოპინგის ანგარიშის ავტორი კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ცხრილში" საჭიროებს კორექტირებას;

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო